საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
პროგრამის ხელმძღვანელი	თამთა მიქაბერიძე
სწავლების ენა	ქართული, ინგლისური სწავლების კომპონენტებით
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში Bachelor of Business Administration in Management
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	180 ECTS (6 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	29.10.2012 № 11-12
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	22.04.2026 №04-26

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ევროპული ღირებულებების მქონე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტში მომზადება, რომელიც შეძლებს თეორიული ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად გაიაზროს ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის კომპლექსური საკითხები.
- კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა დისციპლინათა ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მულტიკულტურულ გარემოში სწორი და რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება;
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სხვადასხვა სასწავლო კურსების კომპონენტების დაკავშირების გზით ბიზნესისა და მართვის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებულ მხარეებისთვის გაზიარების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის და პირველადი კვლევის განხორციელების უნარი, ასევე კურსდამთავრებულებმა შეძლონ გამოკვეთონ საკუთარი პროფესიული ინტერესები და ცოდნის სრულყოფა სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე;
- კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებული:

A. **განმარტავს** ეკონომიკის ფუნდამენტურ თეორიებსა და პრინციპებს და **ახასიათებს** ბიზნესის მართვის ძირითად საკითხებს, მათ შორის ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს — ზოგად, სტრატეგიულ, ოპერაციულ მენეჯმენტს, პროექტების და ადამიანური რესურსის მენეჯმენტს, მარკეტინგისა და ფინანსური აღრიცხვის ძირითად პრინციპებსა და მეთოდებს, აგრეთვე კომპანიის ფუნქციონირებასა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ლოკალურ და გლობალურ ბიზნეს გარემოში.

B. **აანალიზებს** ბიზნესპროცესებს და **იყენებს** სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შესაბამის სტატისტიკურ და ფინანსურ ინფორმაციას, მათ შორის ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევითი სამუშაოებისა და პრაქტიკული ბიზნესპროექტების განხორციელებისას.

C. **აანალიზებს** ბიზნესის გარე და შიდა გარემოს, კონკურენტუნარიანობის სტრატეგიებს, SWOT ანალიზის, სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა სტანდარტული და/ან ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, და **წარადგენს** დასკვნებს, სამეწარმეო იდეებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე ზეპირ და წერილობით ანგარიშებს აკადემიურ და პროფესიულ წრეებთან ქართულ და ინგლისურ ენებზე, ეფექტიანი კომუნიკაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

D. **აფასებს** საკუთარი სწავლის პროცესს და **ავითარებს** ცოდნას აკადემიური ლიტერატურის გამოყენებით, მათ შორის შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრას, კვლევის ძირითადი მეთოდების ამოცნობასა და საბაკალავრო პროექტზე მუშაობას.

E. აანალიზებს ბიზნესის სოციალურ პასუხისგებლობას, შეუძლია ორგანიზაციული, ეთიკური, სოციალური ნორმების ფორმირების პროცესში მონაწილოება.

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, ჯგუფში მუშაობა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრეზენტაცია, რეალური სიტუაციიების ანალიზი და შემთხვევებით სწავლება, დისკუსია, გემიფიცირებული სწავლება და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:	
ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
შეფასების ფორმები და კომპონენტები	

შეფასების ფორმები და კომპონენტები	**მაქსიმალური ქულა**
შუალედური შეფასება:	**70 ქულა**
1.1	
1.2	
1.3	
დასკვნითი შეფასება	**30 ქულა**
დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა	30
სულ	**100 ქულა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო ქართულ და უცხოურ კომპანიებში ქვედა და/ან შუალედური რგოლის მენეჯერის პოზიციაზე, ეფექტიანად განახორციელოს პროფესიული, მათ შორის საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეწარმეო ან სხვ. საქმიანობა, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია აკადემიური ხარისხი-ბინზესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტურისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ. სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში .

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც დაშვების წინაპირობად მიიჩნევს/არ კრძალავს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO; HeinOnline, Elsevier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

სწავლების ორგანიზების თავისებურებები

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, აქედან სავალდებულო სასწავლო კურსები 156 კრედიტის მოცულობით, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები 120 კრედიტის მოცულობით, 18 კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი, ხოლო 18 კრედიტი - ინგლისური ენის კომპონენტი. დარჩენილი 24 კრედიტი სტუდენტს შეუძლია აიღოს როგორც ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ისე პროგრამის საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსებიდან ან უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1- A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2).

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის. დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1-A2)- 21 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52-61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62-71 ქულა
- ინგლისური ენა (B2) - 72-100 ქულა

შენიშვნა: ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2) დონიდან.
საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 18 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 6 კრედიტს აგროვებს პროგრამის არჩევითი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2).

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ერთ-ერთ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატს: FCE, IELTS, TOEFL, PBT, TOEFL, CBT, TOEFL, IBT, VERSANT, CERTUS. PEARSON, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 18 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე.

შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

№	მოდული/საგანი	წინაპირობა	ECTS კრედიტი							სტუდენტის სასწავლო დატვირთვა
			I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI		
საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	წინაპირობის გარეშე	6/150						29	121

2.	ქართული ენის სპეციალური კურსი	წინაპირობის გარეშე	6/150						28	122
3.	აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე			6/150				41	109
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები										
4.	მიკროეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე	6/150						29	121
5.	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის	წინაპირობის გარეშე	6/150						44	106
6.	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები		6/150					29	121
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე		6/150					29	121
8.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის		6/150					40	110
9.	ფინანსური აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე			6/150				42	108
10.	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე			6/150				29	121
11.	ფინანსების საფუძვლები	მაკროეკონომიკის პრინციპები		6/150					29	121

12.	მმართველობითი აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა				6/150			29	121
13.	რისკების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები			3/75				15	60
14.	ლიდერობის შესავალი	მენეჯმენტის საფუძვლები			3/75				15	60
15.	საერთაშორისო ეკონომიკა	მაკროეკონომიკის პრინციპები				6/150			29	121
16.	პროექტების მართვის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150			29	121
17.	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	ინგლისური ენა B2				6/150			81	69
18.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები, მენეჯმენტის საფუძვლები,ინგლისური ენა B1.2					6/150		29	121
19.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150		29	121
20.	ოპერაციათა მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150		27	123

21.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები				6/150			29	121
22.	მეწარმეობა და ბიზნესმოდელები	მენეჯმენტის საფუძლები; პროექტების მართვის საფუძვლები					6/150		28	122

23.	საბაკალავრო პროექტი	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები; აკადემიური წერა; მაკროეკონომიკის პრინციპები; მენეჯმენტის საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები; სტატისტიკა ბიზნესისთვის; მმართველობითი აღრიცხვა; მარკეტინგის საფუძვლები; საერთაშორისო ეკონომიკა; რისკების მართვა; პროექტების მართვის საფუძვლები; ოპერაციათა მენეჯმენტი; სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები; ადამიანური რესურსის მენეჯმენტი; მეწარმეობა და მიზნესმოდელები; ინლისური ენა B2.						8/200	18	182

24.	პრაქტიკა	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები; აკადემიური წერა; მაკროეკონომიკის პრინციპები; მენეჯმენტის საფუძვლები; ფინანსების საფუძვლები; სტატისტიკა ბიზნესისთვის; მმართველობითი აღრიცხვა; მარკეტინგის საფუძვლები; რისკების მართვა; პროექტების მართვის საფუძვლები; ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში; ოპერაციათა მენეჯმენტი; ლიდერობის შესავალი; ინგლისური ენა B1.2						4/100	77	23
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები										

25.	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150	+	28	122
26.	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150	+	29	121
27.	ბიზნესის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე					6/150	+	29	121
28.	საერთაშორისო მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150	+	26	124
29.	საბანკო საქმე	მაკროეკონომიკის პრინციპები					6/150	+	29	121
30.	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	ფინანსების საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა					6/150	+	29	121
31.	ინვესტიციების მართვა	ფინანსების საფუძვლები					6/150	+	28	122
32.	რისკები და დაზღვევა	მენეჯმენტის საფუძვლები					6/150	+	29	121
33.	ლოგისტიკა	მარკეტინგის საფუძვლები					6/150	+	29	121
34.	საგადასახადო საქმის საფუძვლები	ფინანსური აღრიცხვა; ფინანსების საფუძვლები					6/150	+	29	121

35.	შიდა აუდიტი	წინაპირობის გარეშე					6/150	+	29	121
საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები										
36.	ევროპა და საქართველო	წინაპირობის გარეშე						6/150	28	122
37.	ეკონომიკის პოლიტიკის გამოწვევების ისტორია	წინაპირობის გარეშე					6/150	+	29	121
38.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე						6/150	42	108
39.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	წინაპირობის გარეშე					6/150	+	29	121
40.	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა	წინაპირობის გარეშე					3/75	+	15	60
41.	ციფრული კომუნიკაციის სტრატეგია	მარკეტინგის საფუძვლები					6/150	+	29	121
42.	სტარტაპის წარმოების მეთოდები	მაკროეკონომიკის პრინციპები; მენეჯმენტის საფუძვლები;					6/150	+	29	121

43.	გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვა (ESG)	ინგლისური ენა B1.2					3/75	+	16	59
44.	პერსონალური ბრენდინგი	ინგლისური ენა B1.2					3/75	+	16	59
45.	საერთაშორისო მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები					6/150	+	29	121
46.	მომხმარებელთა ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები					6/150	+	29	121
47.	ბრენდინგი	მარკეტინგის საფუძვლები					6/150	+	29	121
ინგლისური ენის კომპონენტი										
48.	ინგლისური ენის ინტენსიური კურსი კურსი (A1-A2)	წინაპირობის გარეშე	6/150						107	43
49.	ინგლისური ენა (B1.1)	ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2)	6/150						81	69
50.	ინგლისური ენა (B1.2)	ინგლისური ენა (B1.1)		6/150					81	69
51.	ინგლისური ენა (B2)	ინგლისური ენა (B1.2)			6/150				81	69

სემესტრში	30	30	30	30	30	30
წელიწადში	60		60		60	
სულ	**180**					

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები				
	A	B	C	D	E
➢ პროგრამის მიზანია ევროპული ღირებულებების მქონე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის მენეჯმენტში მომზადება, რომელიც შეძლებს თეორიული ცოდნის საფუძველზე კრიტიკულად გაიაზროს ეკონომიკის, ბიზნესის, მენეჯმენტის, ფინანსების და მარკეტინგის კომპლექსური საკითხები.	√	√			
➢ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულმა შეძლოს სხვადასხვა დისციპლინათა ურთიერთდაკავშირების გზით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მულტიკულტურულ გარემოში სწორი და რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება;.		√	√		
➢ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სხვადასხვა სასწავლო კურსების კომპონენტების დაკავშირების გზით ბიზნესისა და მართვის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და დაინტერესებულ მხარეებისთვის გაზიარების უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე.		√	√		
➢ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის და პირველადი კვლევის განხორციელების უნარი, ასევე კურსდამთავრებულებმა შეძლონ გამოკვეთონ საკუთარი პროფესიული ინტერესები და ცოდნის სრულყოფა სწავლების უფრო მაღალ საფეხურზე.			√	√	
➢ პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პროფესიულ-ეთიკური ღირებულებების ფორმირებისა და დაცვის უნარი.					√

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

D	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები				
				(A	(B)	(C)	(D)	(E)
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	D	P		X	X	X	
2.	ქართული ენის სპეციალური კურსი	I	D		X	X	X	X
3.	მიკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X		X	
4.	მაკროეკონომიკის პრინციპები	D	P	X	X		X	
5.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის	D	P		X		X	
6.	ფინანსური აღრიცხვა	I	P		X	X	X	
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	I	D	X	X	X		
8.	ფინანსების საფუძვლები	I	D	X	X	X	X	
9.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	D	P		X	X	X	
10.	მმართველობითი აღრიცხვა	I	P		X	X	X	
11.	მარკეტინგის საფუძვლები	I	D	X	X	X	X	

12.	საერთაშორისო ეკონომიკა	**I**	**D**	**X**	**X**	**X**	**X**	**X**
13.	რისკების მართვა	**D**	**P**		**X**	**X**	**X**	**X**
14.	პროექტების მართვის საფუძვლები	**D**	**P**	**X**	**X**	**X**	**X**	**X**
15.	ოპერაციათა მენეჯმენტი	**D**	**P**	**X**	**X**	**X**	**X**	**X**
16.	ლიდერობის შესავალი	**I**	**D**			**X**	**X**	**X**
17.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	**D**		**X**	**X**	**X**	**X**	**X**
18.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	**D**		**X**		**X**	**X**	**X**
19.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	**D**	**P**			**X**	**X**	
20.	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	**P**	**M**		**X**	**X**	**X**	
21.	მეწარმეობა და ბიზნესმოდელები	**D**	M		**X**	**X**		
22.	აკადემიური წერა	**D**	**M**				**X**	**X**
23.	საბაკალავრო პროექტი	**P**	**M**	**X**	**X**	**X**	**X**	**X**
24.	პრაქტიკა	**P**	**M**	**X**	**X**	**X**	**X**	**X**

კურსის სტატუსი

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა				
№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
1.	საქმიანი კომუნიკაცია და ციფრული ტექნოლოგიები	X	X	X
2.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
3.	ევროპა და საქართველო	X	X	X
4.	აკადემიური წერა	X	X	X
5.	ქართული ენის სპეციალური კურსი	X	X	X
6.	მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	
7.	მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	
8.	ბიზნესის საფუძვლები	X	X	
9.	ფინანსური აღრიცხვა	X	X	
10.	მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X
11.	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესისათვის	X	X	

12.	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	
13.	ფინანსების საფუძვლები	X	X	
14.	სტატისტიკა ბიზნესისთვის	X	X	
15.	მმართველობითი აღრიცხვა	X	X	
16.	რისკების მართვა	X	X	
17.	ლიდერობის შესავალი	X	X	
18.	საერთაშორისო ეკონომიკა	X	X	X
19.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	X	X	
20.	ინფორმაციული ტექნოლოგიები მენეჯმენტში	X	X	X
21.	ინგლისური ენა ტურიზმისა და ბიზნესისათვის	X	X	
22.	შესავალი ინოვაციურ მენეჯმენტში	X	X	
23.	ოპერაციათა მენეჯმენტი	X	X	X
24.	პროექტების მართვის საფუძვლები	X	X	
25.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	
26.	მეწარმეობა და ბიზნესმოდელები	X	X	X

27.	საბაკალავრო პროექტი	X	X	X
28.	პრაქტიკა	X	X	X
29.	ორგანიზაციული ქცევა	X	X	
30.	საერთაშორისო მენეჯმენტი	X	X	X
31.	საბანკო საქმე	X	X	
32.	ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	
33.	ინვესტიციების მართვა	X	X	
34.	რისკები და დაზღვევა	X	X	
35.	ლოგისტიკა	X	X	X
36.	საგადასახადო საქმის საფუძვლები	X	X	
37.	შიდა აუდიტი	X	X	X
38.	ეკონომიკის პოლიტიკის გამოწვევების ისტორია	X	X	X
39.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	X	X	X
40.	ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა	X	X	X
41.	ციფრული კომუნიკაციის სტრატეგია	X	X	

42.	სტარტაპის წარმოების მეთოდები	X	X	X
43.	გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვა (ESG)	X	X	
44.	პერსონალური ბრენდინგი	X	X	
45.	საერთაშორისო მარკეტინგი	X	X	X
46.	მომხმარებელთა ქცევა	X	X	X
47.	ბრენდინგი	X	X	
48.	ინგლისური ენის ინტენსიური კურსი (A1-A2)/ ინგლისური ენა (A2)	X	X	
49.	ინგლისური ენა (B1.1)	X	X	X
50.	ინგლისური ენა (B1.2)	X	X	X
51.	ინგლისური ენა (B2)	X	X	X